კვირა, 21 აგვისტო, 1916 წ. | რედაქციის ადგილი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6. | ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკვიკრ მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 34

საზოგადო კრება თელავის წვრილ კრედიტისა

F644

საზიზღარული, უფასო და უაზრო გასართობი სოფლის მცხოვრებთათვის თელავის წვრილ კრედიტის საზოგადოების მიერ გამართული.

გონს მოდით ქართველებო!

რამდენსაც მეტს ვუკვირდები ჩვენებურ, ჭეშმარიტ ქართულ დაუდევრობას, იმდენათ გული მეკოდება, მიწყლულდება და მიკვდება.

ჩვენ არ ვიცით „შინაური მღვდლის შენდობა“, ხოლო უცხოსა და გარეშეს თავს ვევლებით.

საკმარისია ვიღაც შმოლერმა, კარპმა, მარგილომანმა, ფილიპესკუმ, იონესკუმ, ტაკიონესკუმ, ბურიანმა თუ მურიანმა რაიმე სიტყვა დასძრას, რომ მეორე დღესვე ჩვენს გაზეთებში უკვე გამოჭიმულია მთელი სიგრძე-სიგანით.

ამავე დროს ჩვენს საკუთარ ფილოსოფოსთა აზრს არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ, მათ ნაწერს არ ვკითხულობთ, მათ ცხოვრებას არ ვეცნობით.

რუსეთის სამხატვრო ჟურნალთა საზაფხულო ნომრები სავსეა იქაურ მელპომენას ქურუმთა სურათებით. იხატება მათი საზაფხულო სამყოფი, სკამები, რომელზედაც ისინი სხედან, მდინარეები, რომელშიაც ბანაობენ, ცხენები, ან ნავები, რომლითაც სეირნობენ და სხვ.

მე რასაკვირველია ისე შორს ვერ წავალ, რომ ჩვენი მელპომენის ქურუმთათვის მოვითხოვო ამდენი ყურადღება, (მათ წარმოდგენის დროსაც ხშირათ არავინ აქცევს ყურადღებას), მაგრამ უდიდეს მოაზრეთა და ერის ინტელექტთა შესახებ კი გვაქვს უფლება, გავახსენოთ ქართველ ხალხს მისი უმადურობა.

ეს მწარე ფიქრები მომისია ბ-ნი **გრიგოლ რობაქიძის** წერილმა, რომელიც მოთავსებულია „სახალხო ფურცლის“ მე-644 ნომერში ქ-ნ ეკატერინე სარაჯიშვილის გვერდით. ნუ თუ ეს სამაგალითო წერილი და მისი ავტორი ღირსი არ არის ქართველი ერის უდიდესი ყურადღებისა? მე დარწმუნებული ვარ, ბ-ნი რობაქიძე თუ ნემეცი, ფრანგი ან ინგლისელი ყოფილიყო, მთელ დუნიას ჭექა-ქუხილით მოივლიდა მისი სახელი. ჩვენში კი? ჩვენში მართალია მისი სახელი და გვარი ბევრმა იცის, მაგრამ რას აკეთებს, რას სწერს და რას ლაპარაკობს, თითქმის არავინ იცის.

აი ამას ვთვლი მე ქართველი ხალხის მიუტევებელ შეცოდებათ. ვიცი ეს შეცოდება მაშინ გაგვახსენდება, როცა ყეენის ლაშქარსავით დაწყობილნი, „წმინდაო ღმერთოს“ გალობით დიდუბის პანთეონისაკენ გაუძღვებით უდიდესი ქართველის ცხედარს, მაგრამ ეს ხომ გვიან იქნება?!

თითონაც მუდამ ჟამს ამას რომ არ ჩაგვჩიჩინებდეს, ჩვენ ჩვენითაც უნდა მივხვდეთ, რომ ქართული აზროვნება ამ უდიდესი ფილოსოფოსის გარშემო ტრიალებს. ბევრიც მოინდომა პატივცემულმა კიტა აბაშიძემ, გამოენახა ორი-სამი სხვა ბუმბერაზი, ყევარი გრიგოლ რობაქიძისა, მაგრამ ჩვენის შეხედულობით შრომა ამაო გამოდგა:

ერთი გვყავს ეული!
ერთი გვყავს უცალო!
გვიცოცხლე გრძნეული,
გვიცოცხლე უფალო!

როცა მთელი სამყარო ერთ გიჟურ კოცონს წარმოადგენს ცეცხლის ალში გახვეულს, ჩვენი უდიდესი ხელოვანიც სწორედ ამ „კოცონს“ ასურათხატებს თავის უკანასკნელ ნაწარმოებში, რომელსაც **„სიმფონიის ნატეხი“** ეწოდება. ჩვენთვის, ქართველებისათვის, „მჭადის ნატეხიც“ ხელ მიუწვდომელი შეიქნა, არა თუ „სიმფონიის ნატეხი“, მაგრამ მე მსურს „ეშმაკის მათრახის“ უიღბლო მკითხველებმა მოისმინონ ნამდვილი სიტყვა ხელოვანისა. სურათი, რომელიც თან ახლავს „სიმფონიის ნატეხს“, ორიგინალში, რასაკვირველია, არ იყო, მაგრამ ჩვენ ვსცანით საჭიროთ ზოგიერთა ბუნდოვანი (ანუ ღრმა ფილოსოფიური) ადგილების განსაშუქებლათ მისი დახატვა.

ქართველებო! დროა გონს მოხვიდეთ.

ეშმაკი.



ჭრელი ამბები

—

მარჯვენა და მარცხენა

ვგონებ „ქილილასა და დამანაში“ სწერია: „ჰხამს მარჯვენამან შენმან არა იცოდეს, რასა იქმოდეს მარცხენა შენიო“.

რუსული „საქართველო“ ანუ, ეგრეთ წოდებული „ზაკავკაზსკაია რეჩი“ დიდის სიმკაცრით მოსდგა და ტყავს აძრობს ბ-ნ შაშკოვსკის; საჭიროა ის

დაისაჯოს, როგორც უვარგისი მოხელე და ხალხის ორგული პირიო.

ამავე დროს ქართული „ზაკავკაზსკაია რეჩი“, ანუ ეგრეთ წოდებული გაზეთი „საქართველო„ იმავე ბ-ნ შაშკოვსკის უდიდეს წარჩინებას აძლევს.

აღნიშნული გაზეთის 179 ნომერში ვკითხულობთ:

,,ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი ვ. ნ. შაშკოვსკი თბილისიდან სამხედრო გზით რუსეთს გაემგზავრაო“.

აღარ იცი რომელს დაუჯერო: ერთი საკუთარ ტყავს აძრობს და მეორე სამინისტრო ქურქში ახვევს.

—

„მანდილოსანი“

მას შემდეგ, რაც ქალებმა ერთი უხეირო ხელობა დაიჩემეს, სიტყვა მანდილოსანი ცოტა საშიში ტერმინი შეიქნა. ქალაქი გორი ტყვილათ როდი ძრწის მათი შიშით! მანდილოსანთა კრება ძველათაც სახიფათო და შიშის მომგვრელი იყო, არა თუ დღეს.

ხაშურელებსაც ამისი ეშინოდათ, როცა იქ „მანდილოსანი“ არსდებოდა. ეშინოდათ და შიში არც თუ სრულიად უსაფუძვლო გამოდგა. ამ წინაზე „მანდილოსანმა“ „სალამო“ გამართა და როგორც მიღებულია, საქველმოქმედო სალამოს ამავე სახელობის ვახშამი მოჰყვა, რომელმაც გათენებამდე გასტანა.

გათენებისას ნავახშმი „მანდილოსანი“ ბაზარში გამოიშალა და სწორეთ „ბაზრობას“ წააწყდა. ინსტინქტმა გაიღვიძა და როგორც „ეშმაკის საგენტო“ იუწყება სანოვაგე საგრძნობლათ იქმნა დაზიანებული.

საზოგადოება „მანდილოსანი“ ჯერ ერთობ ნორჩი და ახალგაზდაა. ამიტომ თამამათ შეგვიძლია მივუმღეროთ:

პატარა ხარ, აგეთი ხარ
გაიზრდები რა იქნებიო.

მახათი.



შურიანი

(ხაშური).

მე მეტის-მეტათ შურიანი ვარ. თითონაც ვგრძნობ ამას, კიდევაც ვცდილობ გავსწორდე, მაგრამ რავქნა, ვერ დავსძლიე ეს ბოროტი გრძნობა. სხვისი ქება მძაგს. ისე მეზარება, როგორც თათარს ღორის ხორცი. (თუ კი იშოვნა).

აი ახლაც. მინდა ხაშურის ქ. შ. წ. კ. გ. ს. განყოფილების გიმგეობის მოქმედებაზე ვილაპარაკო და განგებ მათ სახელგვარს არა ვწერ, იმიტომ რომ საქები არიან. აბა ერთი გასალანძღი ყოფილიყვენ. მაშინვე მოვსდგებოდი და მთელს მათ ახლო და შორეულ ნათესაობას მოვიხსენიებდი, არა თუ მარტო სახელსა და გვარს. ასეთია ჩემი ბოროტი ხასიათი.

ჯერ ერთი წელიწადიც არ არის. რაც გამგეობა არჩეულია. ერთი წელიწადი რა ამდენი მანძილია, სულ რალაც 12 თვე, 52 კვირე, ან 365 დღე. და აი ამ ერთ დახამხამებაში ჩვენმა გამგეობამ ხაშურის საზოგადოება კულტურის პირველი საფეხურიდან უკვე მეხუთეზე აახტუნა. თითქმის ყველა მახლობელ სოფლებში გახსნა სამკითხველოები, უფასო სკოლები. სალამოს კურსები და სახალხო უნივერსიტეტები. თითონ ხაშური ხომ პირდაპირ განცხრომაშია: აქაური სამკითხველო, ეგ მისაბაძი დაწესებულებაა, სადაც შეუძლია მსურველს შეისწავლოს ამგვარ დაწესებულებათა მოწყობა. სახალხო უნივერსიტეტი ყვავის; სალამოს კურსებს აუარებელი ხალხი ესწრება. ამას უნდა ვუმადლოდეთ ჯერ რასაკვირველია ადგილობრივ გამგეობის ენერგიულ მოქმედებას და შემდეგ ადგილობრივ მასწავლებლებს. წარმოიდგინეთ არ დარჩენილა არც ერთი მათგანი, რომ საზოგადოების წევრათ არ ჩაწერილიყოს და უმნიშვნელო გადასახადის გადებასთან ერთად სიამოვნებით არ მუშაობდეს გამგეობის მიერ უხვათ გახსნილ კულტურულ დაწესებულებებში.

მე არ ვიზიარებ იმ გულგატეხილთა აზრს, რომელნიც ყოველ გზა ჯვარედინზე გაჰკივიან:— ქართველი ხალხი უენერგიოა, არავითარი საქმის უნარი და საზოგადოებრივი ინსტიქტი მას არ მოეპოებაო.

მობრძანდით, ბატონებო, დაბა ხაშურში, გაეცანით ჩვენი გამგეობის წლიურ მოღვაწეობას და

დარწმუნდებით, რომ ყველაფერი სიმართლე არ არის, რასაც ზოგიერთა ჟურნალ გაზეთების პესსიმისტი თანამშრომლები სწერენ

მიუხედავათ ამისა მე მაინც არ დიგისახელებ თქვენ ამ გამგეობის წევრთა სახელსა და გვარებს. ეს რომ ჩავიდინო შურით გავსკდები და რათ გინდათ მე რომ თქვენს წინაშე გავსკდე?

ქვეხი.



ს. მელოს მუშათა ცხოვრებიდან,

ანუ წერილი ჯოჯოხეთიდან.

ამა ეშმაკო, გეთაყვა
მოგდე მცირე ხანს ყურია;
მოგითხრო ჯოჯოხეთისა
ამბები საამურია.

—

ირგვლივ ოთხ მხარეს გვარტყია
მთები ამაყნი ზღუდეთა,
რომელთ ფერდობზე კლდეები
ქცეულან არწივთ ბუდეთა
და რომელთ თხემნი. სპეტაკნი
ცისა ლაჟვარდსა სწვდებიან
რომელთ ხან ფარავს ღრუბლები
და ხან კი გამოჩნდებიან.
კალთების მცირე ნაწილი
ნამენარით შემოსილია...
მეტი კი კლდეა ხრიოკი
ტიტველი გაკრეცილია.
შუაზედ, ხევის ფსკერშიდა
გაჰქუხს მდინარე სწრაფია,
ქვებიდან ქვებზე ნახტომი
დამსხვრეულ ანაქაფია.
მდინარის პირას, გორაკზე
მარჯვნივ სჩანს ციხე ძველია
შორე წასრულში ამ სოფლის
თავ შესაფარი მცველია.

მის ქვეშ მდებარეს ოდესღა
ორმოციოდ სანლათ
ნაშენი ძველი პატრონის
და დანგრეული ახლითა.
ამ ნანგრევებში ბინადრობს
მუშები დიდი ძალია

ბინების სისუფთავეზე
ხომ ლაპარაკიც მეტია:
შიგ სიბინძურე, ნაგავი
არნადით მოსახვეტია.
უიატაკო უსარკმლო,
ჩამონგრეული ჭერია,
(ვეკვობ შიგ დგომას იკადრებს
ოთფეხი სულიერია.)
მუშებს ბრძანებლობს აქაურს
აღების ხროვა მთელია
(დღეს „ბოდრაჩიკი“ გამხდარა
მეარღნე გუშინდელია.)
აწ მინდა მხოლოდ გაცნობო
იმათი მთელი რიცხვია
(თუმც მათი სახელ გვარებიც
ენის წვეროზე მიწყვია.)
როს მოვახდინე მე მათი
სტატისტიკური აღწერა
ორივ ხელების თითები
გადავითვალე ასჯერა.
ბინიდან სამუშევრამდის
მანძილი არის დიდია,
რომლის გავლის დროს გამვლელ-
ლის
სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია.
ორ საათს უნდა იარო
აღმართი ქშენა-ოხვრითა
ზოგ ადგილს უნდა ახვიდე
მუხლისთავებზე ხოხვითა.
ხან ისეთ კლდეზე შეგვხდება
ბილიკი გასავალია
რომ მის სიმაღლეს ზევიდან
ვერ ჩაუწვდება თვალია.
თუ გასწყრა ღმერთი, გაგისლტა
მუნ ფეხი უცაბედათა
„ბინძური“ გზისა სინათლეს
ველარ იხილავ მეტათა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს გასცილდები ამ საფრთხეს
წინ გხედე მასზე მეტია
სად ძრწოლა შიშით გაკლდება
სიცოცხლის მესამედია.
ნახავ რომ შენს წინ მისულნი
უკვე მუშაობს სხვანი
და მათი სამუშავრიდგან
გორავს ვეება ქვანი.
მათ ქვეშ კი გაჩერებულა
მუშების მთელი ჯგუფი
და რადგან ველარ გასულან
აუტეხიათ ჩხუბია.
ზევიდან გაიძახიან:
„ჩქარა გადადით ყველაო,
თორემ ამოგეყლეტთ ლოდებით
ისევ ვით ეინკეველაო“.
ქვევიდან ისმის პასუხი:
„დაგვაცალ ცოტა ხანიო
ვერ ხედავ ოჯახქორებო
რომ არ გვაქვს გასაქანიო“.
ამას მოყვება გინება
სიტყვები უწმაწურია...
ამ დროს აქ, მუშას მუშისვე
სისხლი სასმელათ სწყურია.
სიბრალულ შეცოდებისა
აქ არც კი არის ხსენება
თავს მაშინ იხსნის, თუ მხოლოდ
ძალგიძს ცხენივით ჭენება.
თუ ვერ გაიქეც გიდგება
უკანასკნელი წამია
სასაიქიო „პროპუსკზე“
არ დაგეირდება ქრთამია.
დაგეჯახება დიდი ქვა
დაგიუთოვებს გვერდებსა
და სიცოცხლისგან განამწარს
სიკვდილთან შეგაერთებსა.
ან და უეცრათ „ლაღუმი“
იფეთქებს სადმე ახლოსა
და თუ გადარჩი, ციებამ
შენ ხელი ველარ გახლოსა.
დასახიჩრება, სიკვდილი
აქ რომ იქნება ხშირია
მას შენ თვითონვე მიხვდები
რა განმარტება გჭირია?
(ყველა ეს შიში, ვაება
თვით მუშებისვე ბრალია,
რადგან საერთო საქმეზე
არიან ძლიერ მწყრალია.
მის ნაცვლად რომა გადაჭრით
უარყონ მტრობა შურია,
გაიცნონ ერთი მეორე,
შეკრან კავშირი ძმურია,
ერთმანეთს არსად ინდობენ
უგებენ მტრულად მახესა
თვითონ სწიხლავენ თვისსავე
მცველსა და მოამაგესა.)
სამუშეგარი ადგილიც
ხომ ყოვლათ საძაგელია,
ზედმეტ სიცხისგან თვით მიწაც
ნაღვერდალივით ცხელია.
ხეს ვერსად ნახავ რომ ჰქონდეს
სიმაღლე ოცი გოჯია
სიცხეში უნდა შეიწვა
ვით საახალწლო გოჭია.
მცენარეები ყოველგან
გადახმარ გადამწვარია
არ იშოვება ხუთ ვერსზე
სასმელად წყლისა ცვარია.
ქვეწარმავალნი: გველები—
ხვლიკები, ღრიანკლებია
ამ საქაოს ჯოჯოხეთს
არას დროს არა ჰკლებია.
გმართებს სიფრთხილე: მცუ-
რავმა
არ „გაგიკეთოს ნემსია„
თორემ ვერგიხსნის ეფლარცა
ერლიხის ექვსას ექვსია.
თუმცა დრო მუშაობისა
რვა საათია წესადა,
შენსა ჯოჯოხეთს მაინც ვრაცხ
ამაზე უმჯობესადა.
საღამოს ჟამზე, როს მოვა
ბინისკენ წასვლის რიგია,
დილას რაც შიში იგემე
კვლავ უნდა ნახო იგია.
მიხვალ ბინაზე იქ გხვდება
სხვა და სხვა გასართობია
რომლის ცქერითაც დატკბობას
აღარფერი სჯობია.
ჯერ ეიდაობა იწყება

სხვადასხვა ჯურა „სორტისა“,
(მოგეხსენებათ ქართველნი
მოყვარული ვართ სპორტისა.)
ამას მოყვება სიმღერა,
ან უფრო ხშირად ჩხუბია,
სადაც ავლაბრულ ტერმინებს
გაუდის სხაპა სხუბია.
მერმე იწყება „ლეკური“
თამაში ეროვნულია,
რომელთანც თქვენი კლუბების
ყველა „ტანცები“ ნულია.
მერმე ეთმობა ადგილი
„ლიტერატურულ ნაწილსა“
(ვინღა დაეძებს სხვა რამეს
ან მოსვენებას, ან ძილსა.)
გამოვლენ მოშაირენი
იწყებენ „ლექსთა კითხვასა“
დიდ ყურადღებით ისმენენ
იმათ თითეულ სიტყვასა.
გაისმის ლანძღვა-გინება
რითმებათ აკინძულია,
ორ გროშად აღარ ფასდება
დედის და მამის სულია.
კარტ კამათელით თავდება
„საღამო“ დიდებულია,
საერთო საქმე კი არის
კუნჭულში მიგდებულია
ვის ახსოვს შიშის ქარები
ან საფრთხე წეღანდელია
ან და აღების უღელი
მძიმე, სულ ამოშმდელია.
და რაც დრო ჟამი ყოვნდება
გადიან დღენი, თვენია
მით უფრო უარესდება
მდგომარეობა ჩვენია.

ქვახი.

(დასასრული იქნება)



საუბარი ძაღლთან

ა. ჯ. ჩეხოვისა.

ზამთრის ცივი და მთვარიანი ღამე იყო. ალექსანდრე ივანეს ძე რომასოვმა ფრთხილათ გააღო ჯიშკარი და ეზოში შევიდა.

— ადამიანი,—ფილოსოფოსობდა იგი დან თან ბარბაცით გვერდს უვლიდა სანაგვე ორმოს,—არის მტვერი, საფრთხული, ფერფლი... პავლე ნიკოლოზის-ძე—გუმერნატორია, მაგრამ ისიც კი ფერფლია. მისი გარეგნული დიდება—ოცნებაა, კვამლია... შეუბერავ ერთს და... გაქრება!

— ღრრრ...—შემოესმა უეცრად ჩვენს ფილოსოფოსს.

რომასოვმა უნებლიეთ განზე გაიხედა და ორი ნაბიჯის სიშორეზე დინახა უზარ-მაზარი შავი ძაღლი, რომელიც იჯდა საყარაულოსთან და ჯაპეს აყღარუნებდა. რომასოვმა შეხედა ძაღლს, ჩაფიქრდა და მის სახეზე გაკვირვება აღიბეჭდა. შემდეგ მხრები ასწია, თავი გააქან-გამოაქანა და ნაღვლიანად გაიღიმა.

— ღრრრ... გაიეორა ძაღლმა.

— არ მესმის,—წარმოსთქვა რომასოვმა და ხელები გადაშალა,—შენ... შენ ბედავ დაულრინო ადამიანს? ა? პირველათ მესმის ჩემს სიცოცხლეში... ღმერთს გეფიცები... ნუ თუ შენ არ იცი, რომ ადამიანი ბუნების გვირგვინია? აჰ, შემომხედე... მოიცა დაგიახლოვდე, აი ეხლა მიცქირე... მე ხომ ადამიანი ვარ? ჰა, როგორ ფიქრობ? ადამიანი ვარ მე თუ არა? ამიხსენი!

— ღრრრ... ჰამ!

— მოიცა თათი!—და რომასოვმა ძაღლს ხელი გაუწოდა,—თათი! რა, არ მაძლევთ? არ გნებავთ? არც საჭიროა. ასე იყოს. ახლა კი ნება მიბოძეთ ერთი ტუჩზე გითავეზოთ... არა მე სასიყვარულოთ.

— ჰამ, ჰამ, ღრრრ... ჰამ! ჰამ!..

— ააა... შენ კბენასაც აპირებ? ძალიან კარგი, კეთილი. ამას დავიმახსოვნებთ. მაშ შენ ფეხებზედაც არა გგკიდია, რომ ადამიანი ბუნების გვირგვინია... რომ ის მეფეა ცხოველთა? მაშ აქედან ისიც, გამოდის, რომ შენ პავლე ნიკოლოზის-ძესაც გაუბედავ კბენას? ხომ? პავლე ნიკოლოზის-ძის წინაშე ყველა პირქვე ეცემა... და შენთვის კი—რა ის და რა სხვა საგანი,—სულ ერთია არა?..

ხომ კარგათ გავიგე მე შენი გულის პასუხი? ااا. მაშ შენ სოციალისტი ხარ? მოიცა, შენ ეს მითხარი... შენ სოციალისტი ხარ?

— ღრრრ... ჰაშ! ჰაშ!

— მოიცა, ნუ იკბინები... ხო რაზე ვლაპარაკობდი? ახ, მართლა, ფერფლის შესახებ... შეუბერავ და—გაქრება! ფუ! და მერე რისთვის ვცხოვრობთ, საკითხავია? ვიბადებით დედის ავათმყოფობაში და გაჭირვებაში, ვეპამთ, ვსვამთ, ვსწავლობთ, ვკვდებით... და მერე რისთვის ყველა ეს? ფერფლი! არაფრათ არ ღირს ადამიანი! აი შენ ძაღლი ხარ და არაფერი გესმის, მაგრამ რომ შეგეძლოს.. სულში ჩაძრომა! რომ შეგეძლოს ფსიხოლოგიაში ჩაწვდომა.

რომასოვმა აქ მოაბრუნა თავი და გადააფუთხა.

— წუმპეა... შენ იქნებ გგონია რომ მე რომასოვი ვარ კოლეგიის მდივანი, მეექვსე კლასის მოხელე... ბუნების მეფე.. სცდები! მე მუქთა ხორა ვარ, მექრთამე, ცბიერი!.. მე ქვემძრომი ვარ!

აქ ალექსანდრ, ივანეს ძმ გულში მუშტი ჩაირტყა და ატირდა.

— დამსმენი, სიტყვის მიმტანი... შენ როგორ ფიქრობ, განა იაგორ კორნიუშკინი ჩემი მიზეზით არ გააგდეს? ა?.. ახლა ნება მიბოძეთ დაგეკითხოთ ვინ ასწავინა საკომიტეტო ორასი მანეთი და ვინ გადაბრალა სურგუჩევს? განა ყველა ეს მე არ ჩავიდინე?

ქვემძრომი, ფარისეველი... იუდა! ფლიდი, მექრთამე, არამზადა!

რომასოვმა სახელოთი ამოიწმინდა ცრემლები და აქვითინდა.

— ჰა, დამკბინე! შემჭამე! არავის ჩემთვის დაბადებიდან ერთი კარგი სიტყვა არ უთქვამს... სულყველა, ფლიდათ მთვლის, პირში კი ქებით და ღიმილით მეგებება! ამა ერთი ვინმეს როდისმე ცხვირ-პირში ჩაეცხო ჩემთვის ლაზათიანად და ვეგინებე! შემჭამე მუხა! დამკბინე! დამგლიჯე წყეულო და შეჩვენებული! დამგლიჯე გამცემელი!

რომასოვი შეტორტმანდა და პირდაპირ ძაღლზე დაეცა.

— ასე, სწორედ ასე! დამიგლიჯე სახე ცხვირ-პირი! არ ვნაღლობ! თუმცა მტკივა, მაგრამ მაინც ნუ შემიბრალებ. ჰა ხელებიც დამიკბინე! ოჰო! სისხლი წამოვიდა! ასე გინდა არამზადა! მაშ, გმადლობ მურიი... თუ რა გქვია! გმადლობ... ჰა ქურქიც დაგლიჯე. ეს სულ ქრთამი... ეს ფულიც მოყვასი და აღებულ ფულში ქურქი ფარულად... ჰა კაკარდიანი ქუდიც... მაგრამ ჰო რაზე ვლაპარაკობდი?.. დროა წასვლისა... ნახვამდის ნახვამდის...

— ღრრრ...

რომასოვი მიეალერსა ძაღლს. ერთხელ კიდევ აკბენია თავის ღიაზე გაეხვია ქურქში და პარბაკით წაბენკალდა სახლისკენ.

მეორე დღეს რომასოვს გვიან გამოეღვიძა და რადაც არაჩვეულებრივობა იგრძნო.. თავი, ხელები და ფეხები სულ შეხვეული ჰქონდა. ხოლო მისი საწოლის ახლო იდგა ცოლი ნამტირალევი თვალებით და მასთან ექიმი თავის მხრუნველი სახით.

ლ. პოდბიანტა.

ᲨᲐᲠᲐᲓᲘᲐ

ერთობ მცირე ქალაქია
ფაზისის პირს განაშენი...
არც იზრდება და არც კვდება...
(მათულალის სპირსო სენი.)
სამი ნაშნით იწერება,
ჩვენ არ გვინდა მხოლოდ წინა,
მას რიონში გავუძახოთ,
რომ შავ-ზღვაში ექნეს ბინა.

—

და შევიდეთ იქვე ტყეში,
მას იქ ძებნა ალარ უნდა:
ზოგი ცამდე ატყორცნილა,
ზოგს ასხია წვრილი გუნდა;
წავაქციოთ რომელიმე
და გავხეხოთ შვაზე სწორათ,
წინა მხარე წამოვიღოთ,
ბოლო იქვე ეგდოს გორათ.

—

შარადა რომ დაგვირგვინდეს
როგორც წესია და ოიგი,
ჩვენ ცხოველი დაგვჭირდება
(დიდი ყური რო აქვს, იგი),
ჩვენს კუთხეულ სამშობლოში
უზომო აქვს მას ბაზარი...
თვალს საითაც კი მოავლებ,
წინ დაგხვდება მთელი ჯარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარხულობა

კვირაში 4 დღე მარხვა... ეგ საშინელებაა! ყველა ბოსტნეულს მიაშურებს და შეიძლება ისიც გამოილიოს... ოთხი დღის მარხულობის შემდეგ ყველა ხორცს მოინდომებს, საყასბოების წინ გაიჭიმება უზარმაზარი „კუდი“, შეიძლება ხორციც აღარ ეყოს... დიდ-მარხვასთან შედარებით ეს „უდიდესი მარხვი“ იქნება... ეს საბოლოოთ ჩამოგახმობს კაცს...

ისიც შვაზე გაიჭრება,
ასე ითხოვს საქმის წესი;
შარადისთვის, რა თქმა უნდა,
მეორეა უკეთესი.

—

შეეგერთეთ და მივიღეთ
ყთვლათ უშნო სიტყვა მცირე...
თფილისელმა კარგათ იცის
დღეს იმისი სიდუხჭირე.

„მამათაგან“ შეთხზულია
სასაცილო ეს ქმნილება;
სინამდვილე მის ღირსებას
სამის აღლით ეცილება.
სულყველაფერს ზურგზე აზის,
თუმცა არვინ არათ აგდებს,
(თუ სახეში არ მივიღებთ
დამპალსა და გადასაგდებს!)

კოლო.



...ჩნდება ბნელეთით ალ-ფრინველი, საზღაპრო ფასკუნჯი, მოჰფრენს ჩემსკენ,— და აჰა, ერთს ნეტარ თვალწამში თავს დამეფრქვა კიდეც... (სახ. ფურც. № 644).

გრიგოლ რობაქიძე.

სიმფონიის ნატეხი

ლ. სტალინსკის ასულს.

უმთვარო ღამის ტანგიშერა ლანდი უძრავად გადასწოლია სუნთქვა-შეკრულს არეს და მის მოლურჯო ფრთების ქვეშ შემკრთალ თვალთა წინ იშლებიან ნაირ-ნაირნი და ნარნარნი ხაზტეხილნი მსოფილი ზმანების. შავი ულრანი ტყე საზღაპრო მოჩვენებად გადაზნექილა და სთვლემს ჩუმად ნებამილეული... **შავი ვარსკვლავის** ალმასა ციალი აღარ ჰკიაფობს **ცის ლურჯა ფსკერზე**:*) ისიც მოთენთილა და დაუხუჭავს თვალი თვალის მომჭრელი...

ბნელა, ბნელა, ბნელა... მაგრამ ეს რა არის?! სადღაც შორს, საცა **ტყის ლურჯა ქედი** ხალისით ამართულა, ხე იწვის დიდი... მისი ლაღად მოქნილი ტოტები იშლებიან ნელინელ ალის ფერად და მათი მარჯვე შერხევა ჰკვეთავს, აპობს მრისხანედ უკუნეთის ბნელ ფარდებს... აჰა, ხის თავზე აგიზგიზებული კოცონი მოსწყდა ტყის კოხტა ქოჩორს, შეარხია ალის მოსასხამად გაშლილი ფრთები, ერთი შეფრთქიალდა მტერზე გამარჯვებული და იქ მაღლა, შორს, შორს, შორს, შეჰკრა მარდი მოქნევით ცეცხლოვანი კამარა...

ბუნება აიშალა თვლემამორეული.—

მაგრამ წამსვე ხის ამწვარი კოცონი, საზღაპრო ალ-ფრინველი, სიზმარეთის ფასკუნჯი, ერთი მოსხლეტით სადღაც შთაინთქა...

და დამძიმდა ისევ სუნთქვა ბუნების... აიშალა შათვალა ღამე... გაჰქრა სიცხადე, მაგრამ არც ზმანებაა სხიოსანი... ისმის მხოლოდ ნელი შიშინი, **უფსკრული მწვანე ალით ალურჯებული**... ირგვლივ ლანდები თარეშობენ... თვალებს სქელი ნისლი ეფინება... **გაჰქრა**—,,**შენ**'', **გაჰქრა** ,,**მე**'': აღარ არის სახეობა... ლანდები, მხოლოდ ლანდები, ლამაზლამაზ მასკა-აფარებულნი...

და აი ამ წამს,—როცა ვგრძნობ, რომ თვითონ ჩემი „მეც“ უსახელო ლანდია მხოლოდ, **ჩდება ბნელეთით ალ-ფრინველი, საზღაპრო ფასკუნჯი, მოჰფრენს ჩემსკენ,—და აჰა, ერთს ნეტარ თვალწამში, თავს დამეფრქვია კიდეც**... ალის ფერი მომახვია სამოსელად, მაგრად მიმიკრა ავარვარებულს მკერდს, შეირხა ძლევამოსილებით და ამიტაცა მაღლა, მაღლა მაღლა...

ფაქიზი ჰურჭელი ჩემი ივსება ნელი-ნელ ზეარსის ნაკადულით,—და ვით თავდავიწყებული **მეწადა**,**) ვნატრობ ნებამილეული—არ შესწყდეს ერთი წუთითაც იგი ავსება სანეტარო... მაგრამ

*) ცხადია სცდება ხალხური თქმულება, როცა ამბობს: ,,**ლურჯა ცხენი** შეუკაზმეს თამარ ქალსა დიელო''-ო, ვინაიდან ,,ლურჯა'' ყოფილა **ცა და ქედი**.

**) ,,სახალხო ფურცელში'' მყის აღინიშნა ეს შეცთომა. აქ უნდა ეწეროს სიტყვა ,,მენადა'' და არა ,,მეწადა''. მაგრამ დაუდევრობა მაინც დასჩემებია აღნიშნულ ორგანოს.

სული, სადღაც უძირო კუთხეში, სცნობს, რომ ოდნავ გაიბზარა ტან-ნარნარი სურა,—ვერ აიტანა უთუოდ ღვთიური ავსილობა,—და აჰა, ვით სავნებოდ ატეხილი იგივე მეწადა, ვილტვი დიონისოსაკენ, ვისწრაფი მათრობელ ღმერთთან, სამსხვერპლოდ განმზადილი...

მივფრინავ ფიცხელ ფრინველთან ერთად, ჩემს მარჯვენაზე ვიხვევ მისი ალის ფრთების სალტეს და მისი წითელი ენით ვსჭრი ჩემს გულში ალთქმის ფიცარსა, – რომ უფრო—უფრო სპეტაკი და განწმენდილი შევხვდე სიკვდილ-სიცოცხლის ღმერთს...

მიჰფრენს ფრინველი და მეც თან მივყვები...

ფრინველი მიხსნის მკერდს,—მეც მას ვეხვევი ფიცხელი...

ფრინველი ფრთებით მასხურებს უკვდავებას,—მეც მის ნაკადულს ვეწაფი მოწყურებული...

ფრინველი ფრთქიალით შრიალს მახვევს სმენამათრობელს, – მეც ვთვრები მით აღ'აცებული...

ფრინველი იწვის,—მეც თან ვიწვი...

ფრინველი იფერფლება,—მეც თან ვიფერფლები...

და აჰა, დამწვარნი სრულიად, მოვსწყდით ცის სივრცეს მე და ფრინველი და საშინელი მოსხლეტით ფოლადათ გამდნარ მდინარეს დავეცით თავს... გაისმა ტკრციალი, – და ტანი მდინარისა ატორტმანდა უძირო სევდით, შეირხა, აფართქალდა, შეიკუმშა, – და ისევ დადნა, დაილვარა ხასხასა ტალღებად...

და იქ, საცა ჩემი და ფრინველის თანშეზრდილი სხეული დაეცა სრულიად დაფერფლილი, იქ წამსვე ასხლტა ცეცხლის ყვავილი.., ალის ყლორტები ფრთებად აისხა, შეირხა, მოსწყდა მდინარეს, აფრთქიალდა და გაჰფრინდა სადღაც შორს, შორს, მაღლა, მაღლა... და წარიტაცა თან სამარადო ზღაპარი სამარადო სიცოცხლისა...

გრიგოლ რობაქიძე.



მკითხველთა ასაბნევათ შეცდომის გასწორებაში კვალად შეცდომაა და 644 ნომრის ნაცვლათ, რომელშიაც იყო მოავსებული ეგ საუცხოვო წერილი, ნაჩვენებია 646 ნომერი. გცჳვენოდეთ!

პატარა ფელეტონი

შეკითხვა

(ლექსი პროზათ)

ძმაო ეშმაკო! მსურს გაუწყო ჩემი დარდები, ჩემი სულისა აღშფოთება, გულის ტრიალი, რომ შეგებრალოს ჩემი ყოფის ამაოება, რომ შენც აგევსოს მოთმინების ქვაბი ტიალი.. თუმც ეშმაკი ხარ, ჯოჯოხეთის ბინათ მყოფელი, დიდათ მომთმენი, სულ-გრძელი და დარბაისელი; მაინც გულს გატკენს ჩემი ჭმუნვა ეგ სევდიანი, შენც შეგზარდება, ჩემი წილი წუთი-სოფელი!..

მოგეხსენება, ომის გამო მეტათ შევზარდით, სუყველაფერი გაგვიძვირდა ერთი ასათა; ჯერ იაფობის დროს, ხომ იცი, ბევრს არას ვჭამდით,—ახლა ჩვენს კბილებს არრა ეკვრის გასაკნასათა! ვეღარ ვშოულობთ: ვერც პურს, ვერც ხორცს, ვერცა პამიდორს, სულ ყველა გაქრა, ბაზრის პირზე თვალს ვერსად მოჰკრავთ; შეჩვენებულნი, ის ვაჭრები მალვენ სადღაც შორს, მომხმარებელნი-კი ცოლ-შვილსა შიმშილითა ვკლავთ!.. არ იშოვება არც შაქარი, არც ქართოფილი, დადიხარ კაცი ბაზარ-ბაზარ გულ-ჩათხრობილი; თუ რომ არა გყავთ გულ-კეთილი, ვინმე ძმობილი,—სულს ამოგაძრობს, და გაგგუდავს თმენა, შიმშილი!.. როგორ ვიცხოვროთ, გაგვიძვირდა ძალზე საპონი, არ იშოვება აღარც თაფლი, აღარც სანთელი; არც კარაქია, არც ძროხისა უბრალო ქონი, პირველათა ვარ ამ კრიზისის! მომსწრე—მნახველი! ჩვენი „მამები“ ღვთის წინაშე, ამაზე ბჭობენ, ზოგი მათგანი საქმითაც-კი მოღვაწეობენ, მაგრამ რას ვხედავთ? სინამდვილე სულ სხვას გვიჩვენებს – იმათი ნიხრი, მარტო ოდენ თვალსა გვიმშვენებს. ვაჭრების „ოხტში“ ჯერ ჯერობით არვინ მოსულა, „პოლრომმა“ ოდნავ შეაფიქრა შეაავადა... და დანაკარგის აღსადგენათ, პატივცემულებს, ძველზედაც მეტი გაულვიძა წალლეტის მადა...

მოდუნდა კუჭი, ველარაფერს ვეღარ ინელებს, რაც-კი გავკნასე—ყველაფერმა დამაზიანა, რა ენაღვლებათ, ასაღებენ უვარგისს, ძველებს,—მიაქვთ დამპალი, უსუფთაო, ზოგიც ჭიანა! ვიღა კითხულობს მათ სიახლეს, სად სანოვაგეს, თუ კი ღმერთმა ქნა და რაც უნდა, იგი იშოვა; მხოლოდ მიასწროს, „ოჩერედში“ როგორმე ჩადგეს, სადაც

მუდმივათ სდგას ურიცხვი ხალხისა გროვა·
სადაც ხშირია ჯახი, შფოთი, მუჯლუგუნები, გინება, ლანძღვა, ვაი ვიში, და სხვა შემკობა; ზოგჯერ ზურგზედა მძლავრი მუშტის ნაბრაგუნები,— დალურჯებული, დაბეჟილი ლაქა მიგყობა!..

და ასე, ვწვალობ, ვიტანჯები, ძმაო ეშმაკო! აღარ ძლევა ამ ცუდ ყოფას აწ დასასრული; ბევრი მაქვს კიდევ მე სათქმელი, სალაპარაკო, მაგრამ არ ძალ-მიძს, რომ ამ ჟამად დავუდო გული! დანარჩენს—სხვა დროს მოგახსენებ, ეხლა კი მითხარ, ჩემს შეკითხვაზე გადაჭრილათ მიპასუხევი: შენ როგორ გრძნობ თავს, როგორა ხარ ამ სიძვირეში, — საკმაოთ შოვობ სანოვაგეს თუ შენც იმშევი?! გარდა ამისა, რა ვიღონო, აბა რას მირჩევ, რით გამოვკვებო თავი დღეს, ხვალ, ან ამ კვირეში? მე ჯამაგირათ ძლიერ ცოტას, მინიმუმს ვიღებ, მომწყვდეული ვარ ომის გამო ამ საკირეში!..

ალბურიონი.

მესტვირული
(სამტრედიისათვის).

აბა რა გითხრათ, რით განუგეშოთ?
მხიარულების წარვიდა ხანა,
ცრემლით მოირწყო არე-მიდამო,
სევდამ მოიცო მთელი ქვეყანა.

მტერს შემოსეულს გავუმკლავდებით,
მაგრამ დამხვდურიც დახე, მტერია,
რომ ლუკმა გავხდეთ გაუმაძღართა
ნუ თუ განგებას დაუწერია?

ფარისეველნი აჰა, სტირიან.
თუმცა არ გვჯერა მათი ცრემლისა,
მაშვრალთა ბედი განა აწუხებთ
როცა თან დააქვთ უძირო ქისა?

აჰა, ის ხალხი, ვისაც მარადის
პირს აკერია, ქართველი ერი.
ჯიბესა ივსებს მათი ნაშრომით,
როცა ერია მწყურვალ მშიერი.

აბა რა გითხრათ, რით განუგეშოთ
დროება ხედავთ არეული.
სიბნელემ დროში ააფრიალა,
მტერთა ზეიმი, სიხარულია.

იგი ვინც გუშინ, იუდასებურ
ხალხისა ორგულთ ევაჭრებოდა
აი, იქვნახე ბრბოს მიუძღოდა,
ბრბოს უგნურებით იგი სტკბებოდა

მაშვრალთა ხელით ქმნილი სიმდიდრე
რკინით და ცეცხლით ნადგურდებოდა
და ის იქ იდგა დამშვიდებული,
მხოლოდ ნელ ნელა იღიმებოდა.

აბა რა გითხრათ, რით განუგეშოთ
მხიარულების წარვიდა ხანა,
ბნელმა მოიცო არე მიდამო,
და მუქთა-ხორებს რჩება ქვეყანა.

ალი.

მოგზაურობა

ისე მოსწყურდა იოსებს კეკეს ნახვა, რომ გადაირია კაცი! დღე და ღამ მასზე ოცნებობდა და ბოლოს გადასწყვიტა მასთან წასვლა. სამსახური უშლიდა, მაგრამ კვირა დღეს იმედი ჰქონდა თავი დაეღწია. დალოცვილია რკინის გზა თავის სისწრაფით. რკინის გზის მთავრობა კი, როგორც მოხელეს — უფასოთ აწვდის ბილეთებს გასასეირნებლათ. სოფელ კაკლისქედამდე, სადაც იოსებს კეკე ეგულებოდა, ასი ვერსი იყო. ჩაჯდები და უკვე იქა ხარ. ამ ნეტარების მოლოდინში იოსები სიხარულით ფეხზე აღარ იდგა.

კანტორაში, სადაც იოსები მსახურობდა, მოხელეებს თითქმის ორ კვირაში ერთხელ ეძლეოდა ეგრეთ წოდებული „სანოვაგის ბარათები“ რითაც, ნება ჰქონდათ, ბარათზე აღნიშნულ სადგურიდან ქალაქამდე, ჩამოეტანათ რამოდენიმე ფუთი სანოვაგე. ბარათი ეძლეოდათ ორასი ვერსის მანძილზე, ქალაქიდან საჩიტიამდის.

კაკლისქედიც ამ გზაზეა!

იოსებმა დასწერა თხოვნა უფროსის მიმართ; დაწვრილებით აღნიშნა, თუ რა გაჭირვებით შეიძლება სანოვაგის შეძენა ქალაქში, რა იაფობაა საჩიტიაში და სთხოვა სასანოვაგო ბარათი.

შაბათ დილით იოსებს მოახსენეს:

— იოსებ ანდრეიჩ, უფროსი გეძახით.

იოსებს გაოცება .. მისთანა პატარა კაცუნებს იშვიათად თუ შეხვდება განყოფილების უფროსის ნახვა!.. ნებაც არა აქვთ მასთან შესვლისა... იოსებს ვერ გაეგო—რა საქმე ჰქონდა მასთან უფროსს... კრძალვით შეაღო კაბინეთის კარი და შევიდა. უზარმაზარ, მშვენივრად მოწყობილ ოთახში მაგიდას სქელი, ხანში შესული უფროსი ეჯდა.

— თქვენი გვარი სასანიძეა არა?

— დიახ, ბატონო.

— თქვენ საჩიტიაში გინდათ წასვლა სანოვაგისათვის.

— დიახ, ბატონო. (აბა იმას ხომ არ ეტყოდა, მარტო კაკლისქედამდინ მივალ, კეკეს სანახავადო.)

— ჩინებულია. სასანოვაგე ბარათს მოგცემთ, მხოლოთ, ჩემთვისაც იყიდეთ ცოტა რამ. აი, სამი თუმანი... ფასზე ნუ შეჩერდებით, რაც გინდ ძვირი იყოს იყიდეთ: განსაკუთრებით მჭირდება კვერცხები, ქათმები, კიტრი, ნედლი ლობიო. ეუშისათვის და ეტლისათვისაც გეყოფა ეგ ფული.

უფროსმა გაუწოდა სამი თითო თუმნიანი. ტანში გაატრუტალა იოსებს იმის წარმოდგენაზე, თუ რა გაპივრება მოელოდა მას საჩიტიაში!...

ღამის 11 საათზე მივიდა ბოსეი სადგურზე კალთებით და ტილოს პარკებით დატვირთული. სიზარში იოსებს სულ ქათმები, კვერცხები, ახალი ლობიო, კიტრები და სხვა სანოვაგე ელანდებოდა. კვირა დილას იოსები გადმოხტა საჩიტიაში და გაემგზავრა ბაზრისაკენ. ბაზარში ყველაფერი ბლომათ დახვდა. ისე წარმოიდგინეთ—ქათმებიც და კვერცხებიც. იოსებს გულმა ფანცქალი დაუწყო!.. რამდენი ხანია მას ქალაქში თვალით არ ენახა კვერცხები...

— როგორ ჰყიდი, ქალო, კვერცხს?

— თერთმეტი—ორი აბაზი და ოთხი კაპეიკი.

ძნელი ასახსნელია, თუ რათ უყვართ სოფლელებს ასეთი ანგარიშით სანოვაგის გაყიდვა!

— ესე იგი თითო ოთხი კაპეიკი?

— არა, ბატონო, თერთმეტი – ორი აბაზი და ოთხი კაპეიკი.

— მოიტა, მოიტა, რამდენი გაქვს, ასი, ორასი... ოთხასი მოიტა. იოსებმა ამოიღო ტომრიდან დიდი, ჩალის კალათა და დასდგა მიწაზე. ოთხასი კვერცხი მთლად ჩაეტია კალათაში. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაინახა, რომ კალათის გარშემო ორ არშინზე იატაკი ყვითლად იყო შეღებილი. იოსების განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა!—რა სათუთი რამ ყოფილა ეს კვერცხები! ფიქრობდა იგი და ახალი ქალაღდის ათშაურიანი ძლიერაც არ დანანებია იატაკის გასაშენდად მიცემული.

მატარებელი მოვიდა...

მიუხედავად იმისა, რომ იოსებს ქუდზე უშველებელი თეთრი რკინის გზის ნიშანი ეკრა, უკანა ვაგონში ქათმებით ხელში არ შეუშვეს. გამოშურა მატარებლის თავისაკენ. მისი სირბილის კელი ეხლაც კი ნათლად ამჩნევია საჩიტის ბაქანის ასფალტს. ორი ზოლი მიიკლაკნება მთელი ბაქანის სიგრძეზე: ერთია კვერცხის ყვითელი გულისა მეორეც პამიდორის წითელი წვენისა.

საჩქაროდ აირბინა ვაგონის კიბეები, რამდენათაც კი შეუძლიან სიჩქარე ოთხი ფუთი სანოვაგით დატვირთულ სუსტ ადამიანს.

— ხალხნო, მიშველეთ, თქვენი პირიმეთ. დავალგო სადმე ჩემი ბარგი და ჩემთვის ადგილს არ დაეეძებ.

„პამიდორრით“ და კარტოფილით სავსე ტომარა კუთხეში მოთავსდა. მასზე მალე ჩამოსკუბდა ვიღაც ბერიკაცი. ქათმები სკამის ქვეშ, სიცხეში და სიბნელეში მიბრძანდენ. სხვა სანოვაგით სავსე ტომარაზე თვით იოსები ჩამოჯდა და კვერცხით სავსე კალათა ფეხებს შუა ჩაიდგა...

დაიძრა მატარებელი და დაიწყო მეორე მოქმედება იოსების ტრაგედიისა. ახლა კი ნათლათ დაინახა იოსებმა, თუ რა გაკლენა აქვს მატარებელის საჩქაროთ დაძვრას და შეჩერებას კვერცხებზე! მან გამოიანგარიშა: თუ შემდეგშიაც მატარებლის თითო დაძვრაზე და შეჩერებაზე სამ-სამი კვერცხი დაიმსხვრა, იმედია ქალაქს ასიოდი კვერცხი ჩამოყაყება, რადგან ქალაქამდე ოცდა-ცამეტი სადგური მაქვს გასავლელი.

სამი სადგურის გავლის შემდეგ მატარებელს უკნიდან მეორე ორთქლ-მავალი მოაბეს. თითო მის უკნიდან დატაკებაზე კი ხუთი კვერცხი სქდებოდა!

დაღამდა კიდეც...

ნახევარი ვაგონის იატაკი მოირწყო წითელი და ყვითელი წვენით. იოსებმა ნათლად დაინახა, რომ მეტი ცდა აღარ შეიძლებოდა... მან კალათიდან სახსოვრად ერთი მთელი კვერცხი ამოიღო, ხელსახოცში კარგათ შეახვია, ჯიბეში ჩაიდო. კალათი კი გააპარა და სიბნელეში გადისროლა ვაგონის ფანჯრიდან...

შემდეგ ესტუმრა იგი „პამიდორის“ ტომარას და დაინახა, რომ მძინარე ბერიკაცის სამძიმით ტომარაში მირტო-და პამიდორის ჩენჩი დარჩენილიყო, ჩვენი კი მთელს ვაგონს ნოსდებოდა. კეთილი ბერიკაცის დახმარებით იოსებმა ეს ტომარაც მოხერხებულათ გადისროლა სიბნელეში. ბოლოს წამოავლო ქათმებიან კალათას ხელი და ვაგონიდან გადმოვიდა, რადგან მატარებელი სადგურზე იდგა.

— ოჰ, ღმერთო, პატარა სული ამოვითქვი. სჯობია მოვშორდე ამ ტიალ ვაგონს, თორემ კაი დღეს არ დამაყრიან.

საჩქაროთ აიღო ქალაქამდე პირველი კლასის ბილეთი, ქუდზე რკინის გზის ნიშანი მოიძრო და შევიდა ვაგონში.

— აქ კი თავისუფლებაა! ეხ, ხე, ხე! რიგიანად დავისვენებ ქალაქში ჩასვლამდე... ღმერთო ეს რა დამარხნიათ ქათმებს?—იოსებმა საზარელი სურათი დაინახა, როდესაც კალათზე მოხერხებულათ გადაფარებული გზეთი ახადა: შვიდი ქათამი, ჩუმად უვაი-ვაგლახოთ გამოსალმებოდა წუთისოფელს და მათი გრძელი კისრები კალათის ნაპირებზე კონწიალობდენ. საგონებელში ჩავარდა საბრალო იოსები. ხუთრობა ხომ არ არის მატარებლით გარდაცვალებულთა გვამების კონტრაბანდათ წაღება? მერვე ქათამმა ამსობაში ნაღვლიანი თვალებით გადმოჰხედა იოსებს, ჩუმად დაიკაკანა, მინაბა თვალები, ჩამოჰკიდა კალათის ნაპირზე კისერი და შეუერთდა თანამემამულეთა გუნდს. იოსებმა ქათმებს თავები გაუსწორა, კალათას გზეთი დადაფარა ცოტა არ იყოს „ინტელიგენტური“ სახე მისცა.

„გაპირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვეეებო“ ნათქვამია. მეორე დღეს იოსებმა, ქალაქში ღიდის ვაიეგლახით, მომასისხლათ ნაყიდი სამსი კვერცხი ორასი ცალი კიტრი და ნახევარი ფუთი ახალი ნედლი ლობიო ჰკიდა ზურგზე მუშას და გაუგზავნა უფროსს. თან გაატანა საჩიტიანში სანოვაგის ფასების ვარაუდით შედგენილი ანგარიში და სამი თუმნიდან მონაჩრჩენი ფული.

იოსებს რომ ბინაზე ესტუმროთ, მის საწერ მაგიდაზე ახლაც ნახავთ ოქროთ მოვარაყებულ შუშის კოლოფში მდებარე ქათმის კვერცხს. კვერცხზე ნიშანია—157 მ. 52 კ. ეგ ის კვერცხი გახ-

ლავთ, რომელიც ერთად ერთი უვნებლათ ჩამოიტანა საჩტიიდან იოსებმა, ნიშანი კი გამოჰხატავს იმ ფულის რაოდენობას, რომელიც საჩტიაში მოგზაურობას და შემდეგ ეკონომებში იქმნა დახარჯული, რადგან ამ თავგადასავალის შემდეგ იოსებს ერთი კვირის განმავლობაში ძალზე აციებდა და აცხელებდა.

გუგული.

ხონის ამგეგი

მათეს ბანკი

(ყურ მოკრული ბაასი)

— ჩემო ბიძავ, ძაან სახლი წამოუპიმავს ვინცხაა, ჩემი აქ არ ყოფნაში, მარა ღმერთმა შეელა მისცეს და ძაან გაჭირებაცაა ახლა შით.

— ეს სახლი კაცო დიდი ბანკისაა...

— რავა ბანკისაა, რას მატყუებ! ბანკი კარა თავ ქუდ მოღლეტილი მირბოდა შით მათე დოხთური...

— მერე რაი?

— რაი და მშობიარე ქალი იქნება ვინცხა შით.

— კაცო, მათე დოხთური ყველაზე ღლავნია შით—სახელი მაინც არ გაგიგონია: „მათეს ბანკო“ ესაა ეგი.

— რავა, იმან ბებიობის მეტი კიდო იცის რამე?

— თვარ იცოდეს არც დააყენებდენ.

— კი მარა, მაქანე დიდი საქმეები იქნება და უსტვება ყველფელს?

— მისი საქმე არაა!—ვინ მოკითხავს განაჩენს; როცა უნდა მოვა, როცა უნდა წავა.

— არ გავკვირდი?! რომ ასე თავ-აშობილი არ იყოს ჩემი კვატუს დაბადებაზე კანკურაზ ორშაფთს დილიდან საღამომდე ადგა ჩემ ქალს თავზე და ვინ მოაცლევებდა ნეტა?

— სხვებიც იქნებიენ შით—ოგინიც დოხთურებია?

— არა კაცო, ერთი ლუკა სანაძეა და მეორეს კარქათ ვერ ვიცნობ—ზინგერშიდაც კი ყოფილა ადრელე, მერე მგონია ქართველთა სანიტრელი დრუეინაში შევიდა, იქიდან სანარდიაში იყო კაი ხანს და ახლა, რა კი ლუკა სანაძემ შეამოწმა, რომ თუ ქართული უნივერსიტეტი არ გაქ გათავებული ისე გრანიციის ჩვენი ბანკში არ გამოდგებაო. მაგი მეიწვიენ...

— კი მარა, ლუკა დიდი ნასტავლია?

— მეგეცა დღენძელობა ხონურ ეშმაკობაში მაგი ნასტავლი იყოს და ისე კი „სიმონიე კუნტის“ ღემლაზია გათავა, მარა მაგის სტავლამ ჭირი წელოს, რომ ან მაგი ჩერდებოდეს შით, ზამორობით საკამისოთ დიდის სხვადასხვა ქალაქებში და ზაფხულობით კი პარკს ვაკრობს და არ ცალია...

— მერე და ობჩამ კაცი ვერ ნახა მაგენის მეტი?

შენ, ჩემო ძაკუ აქოური ანბები ჯერე რა იცი—აი რანაირი ლექსი შეუდგინეს მაგ ბანკს:

მათე დოხთური კრუხათ ზის,
ლუკა სანაძე მამალათა,
ერისთო, მოსე, მიხაკო
წიწილებათ და ამალათ.

მეჯურნეთა ჰყავთ ვარლამი,
მიმუნათ კი ემელი...
„ჯან-გელდის“ ანდრო გასძახის
ყველასი კუდის მქნეველი.

—

კარებს ადგია ალექსანდრ
გარინდებული წყენითა,
მადა აღძარია შიგ შესვლის,
ნერწყოს ილოკამს ენითა.

—

ილარიონმა „რეჩი“ სთქვა
ცოტა სწყენი ამალის,
კრუხი კაკანებს, კრიახობს,
დეზებს ისწორებს მამალიც.

—

არავინ უნდათ სხვა პირი,—
შინაური, თუ ეული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მათი“ სჯობია სულყველას
გინდ იყოს გადარეული ..

მე კი გთხოვ ჩემო ეშმაკო,
უცხუნო ტარ-კურთხეული!

ქეფერჩხო.

წერილი რედაქციას.

გთხოვთ საჩქაროთ დაგვიმოწმოთ, რომ „ეშმაკის მათრახის“ №32 დაბეჭდილი გამოცანა ლაგოდეხისათვის ჩვენ არ გვეკუთვნის.

სავლე აბულაძე და კონსტანტინე ჩხეტია. *)

---

*) „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია იჩქარის, რაც შეიძლება ადრე დაადასტუროს თქვენი უდანაშაულობა, თუ რასაკვირველია ფოსტამ არ დაიგვიანა და განაჩენი ჩვენი ჟურნალის მიღებამდე არ იქმნა სისრულეში მოყვანილი.

ფოსტა

ლ. პ. ჩვენ თუმცა „მოდისტკობას“ ვერ დავიტრაბახებთ, მაგრამ გვგონია საცმელი ცოტა მოგრძოთ არის შეკერილი და ბევრი ზედმეტი „აბორკა“ აყრია. თუ ნებას გვიბოძებთ ამ უსწორმასწორობას ჩვენ შევალამაზებთ და იქნებ მიიღოს პატრონმა. ყოველ შემთხვევაში, თუ საძნელო არ დარჩეს შემოიარეთ: ელისაბედის ქუჩაზე 132 ნომერში და იკითხეთ ბინა № 6. აქ უფრო დაწვრილებით და დალაგებით მოვილაპარაკებთ.

როკოკოს ამბავი ძველია.
ძალიან გძელია.
დაბეჭდვა ძნელია

მოთხრობები

ს. რემონიძისა

იყიდება „განათლების“ ყველა აგენტებთან. ფასი 70 კ. საწყობი კანტორა განათლებაში, თფილისი ოლგას ქ. № 6. 10—2

„ახალ კლუბის“ ცხოვრებიდან

როცა კიბის უკანასკნელ საფეხურს აათავებთ, მარცხნივ მიიხედეთ.

ჯილდო 2 გირვანქა შაქარი!

მომხმარებელ საზოგადოება

„ალოღრმინების“

გამგეობა

ეძებს მოხალისეებს, რომელთაც ზედმიწევნით უნდა იცოდენ ქ. თფილისის უბნები და ქუჩები. აღმოსაჩენია უგზო-უკვლოდ დაკარგული

„სარევიზიო კომისია“

თითო წევრის აღმოჩენაში მოხალისე მიიღებს ორ გირვანქა შაქარს.

იჩქარეთ, საქმე არ ითმენს!

რედაქტორ-გამომც. თ. **ბოლქვაძე.** ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ., №